

ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება სამეგრელოს
რეგიონში ზურმუხტის ქსელის ტერიტორიების გამოყენებასა და
მართვასთან დაკავშირებით

მეგი გამტკიცულაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო და მედიცინის ფაკულტეტზე ბუნების დაცვისა და
მეტყვეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

ბუნების დაცვა და მეტყვეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან უგრეხელიძე - მკვლევარი

თანახელმძღვანელი: ნანა დევიძე - მკვლევარი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”

მეგი გამტკიცულაშვილი

19.01.2022

აბსტრაქტი

ნაშრომში შეფასებულია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება სამეგრელოს რეგიონში ზურმუხტის ქსელის ტერიტორიების გამოყენებასა და მართვასთან დაკავშირებით, ზურმუხტის კანდიდატი ტერიტორიის - სამეგრელო GE0000021 მაგალითზე. კვლევის ფარგლებში, მიმოვიხილე საქართველოში ზურმუხტის ქსელის შექმნის პროცესი და მასთან დაკავშირებული ლიტერატურა.

მოსახლეობის დამოკიდებულების შესასწავლად, გამოვიკითხეთ ზურმუხტის ქსელის ტერიტორიასთან მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა. მათ მიერ შევსებული კითხვარიდან და ჩატარებული ინტერვიუებიდან გამომდინარე, შევაფასე როგორია მოსახლეობის აღქმა ზურმუხტის ქსელზე და ამ ტერიტორიაზე არსებული გარემოსდაცვითი გამოწვევების შესახებ, რა სახის სარგებელს იღებენ/ მიიღებენ მოცემული ტერიტორიიდან და რამდენად აქვთ მზაობა ჩაერთონ მათ გარშემო არსებულ ზურმუხტის ქსელის ტერიტორიის განვითარებასა და მართვაში.

მოსახლეობის უმეტესობა არ იყო ინფორმირებული ზურმუხტის ქსელის შესახებ, თუმცა საკმაოდ კარგად ერკვევიან ადგილზე არსებულ გარემოსდაცვით პრობლემებში. გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა მინიმუმ ერთი სახის სარგებელს მაინც იღებს საკვლევი ტერიტორიიდან და მომავალშიც აქვს მასთან დაკავშირებული გეგმები. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ უმრავლესობა გამოთქვამს მზაობას ზურმუხტის ქსელის ტერიტორიის მართვაში არათუ ჩართული იყოს, არამედ ძირითადი პასუხისმგებლობაც კი აიღოს ამ მხრივ. ამის მთავარ მოტივად კი ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების დაცვას ასახელებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ზურმუხტის ქსელი, ადგილობრივი მოსახლეობა, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა/მონაწილეობა

Abstract

The study has assessed the attitude of local population towards the use and management of Emerald Network Sites in Samegrelo Region based on the example of Emerald Network Candidate Site - Samegrelo GE0000021. Within the research, I did an overview of the literature and Emerald Network processes in Georgia. In order to study the attitude of local communities, we have interviewed the local population nearby Samegrelo Emerald Network area.

Based on the result of the questionnaires as well as interview notes, I have assessed their perception about Emerald Network and environmental challenges in this area, the profit they get/will get from the Emerald Network territory and their readiness to be involved in the Emerald Network development and management.

Despite the fact that most of the population does not have information about Emerald Network, they have sufficient knowledge on the local environmental problems. The majority of the interviewed population has at least one type of benefit from the Emerald Network area as well as future plans to increase this profit. It should be highlighted that the vast majority has expressed their readiness to be not only involved in the management of the Emerald Network site, but instead to take a leading role in its management. Protection of the local biodiversity was identified as the main motivation of their willingness to be part of the Emerald Network management.

Key Words: Emerald Network, Local Population, Involvement/participation of Local Population

მადლობა

პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და ყველა ჩემს ლექტორს, რომლებსაც შემაყვარეს ეს სფერო.

დიდი მადლობა საუკეთესო ხელმძღვანელს და ადამიანს, ქალბატონ ქეთევან უგრეხელიძეს, რომელიც, დატვირთული განრიგის მიუხედავად, ნაშრომის ყველა საფეხურის დაგეგმვაში და განხორციელებაში მეხმარებოდა.

ასევე, დიდი მადლობა ჩემს თანახელმძღვანელს, ქალბატონ ნანა დევიძეს, რომელიც დამეხმარა კითხვარის მომზადებაში, გამოკითხვის ჩატარებაში და ყოველთვის მაძლევდა რჩევებსა და რეკომენდაციებს.

დიდი მადლობა ბატონ ლევან მუმლაძეს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ეკოლოგიისა და უხერხემლო ცხოველთა ზოოლოგიის მიმართულებით, რომლის დახმარებითაც შევისწავლე აკადემიური წერის სტილი და უშუალოდ ნაშრომის წერის დროსაც მივიღე რჩევები ამ საკითხის შესახებ.

ასევე, დიდი მადლობა ქალბატონ ნათია კოპალიანს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ცხოველთა ქცევის ეკოლოგიისა და კონსერვაციული ბიოლოგიის მიმართულებით, რომელმაც გამიზიარა ზურმუხტის ტერიტორია სვანეთი 1-ის მენეჯმენტის გეგმა, რომლის ნაწილიც იყო მოცემულ ზურმუხტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები.

მადლობა ჩემს მეგობრებსა და თანაკურსელებს, გიორგი ჯავახიშვილს და ანანო ჭანიძეს, რომლებმაც გამიზიარეს თავისი გამოცდილება ნაშრომის მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებით.

მადლობა ჩემს მეგობარსა და თანამშრომელს, ვახო ჩიტიშვილს, რომელიც დამეხმარა საკვლევი ტერიტორიის რუკის მომზადებაში.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეგობარს, თანაკურსელსა და თანამშრომელს, მირანდა აფაქიძეს, რომელიც მამხნევებდა და თავის გამოცდილებას მიზიარებდა ნაშრომის წერის პროცესში.